სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

08 მაისი , 2025 წელი

ბრძანება №01-02/98

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება“ (მე-5 დონე) პროფესიულ სტუდენტთა (2023 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, **,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საექთნო განათლება“** (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **შუალედური შეფასების** ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 11 აპრილის №01-02/67 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 მაისის №480269 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება“** (მე-5 დონე) **პროფესიულ სტუდენტთა** (2023 წლის საშემოდგომო მიღება) შეფასების მიზნით შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია და განისაზღვროს შეფასების ჩატარების დრო და ადგილი, კერძოდ:

1.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ (მე-5 დონე) პროფესიული სტუდენტების (2023 წლის საშემოდგომო მიღება) შეფასების მიზნით **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ მხატვარი - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება“ ხელმძღვანელი;

ბ) ნაირა კობალაძე - ბათუმის რეფერალური ჰოსპიტლის კარდიოლოგი;

გ) ნათია ჯაბნიძე - ბათუმის რეფერალური ჰოსპიტლის ემერჯენსის მთავარი ექთანი;

დ) ხათუნა ვარშანიძე - შპს ,,ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი (დამსაქმებელი).

1.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **შუალედური შეფასება ჩატარდეს** 2025 წლის 16 მაისს, 11:00 საათზე (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, აუდიტორია №305).

2. შუალედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით.
3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**